



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

05.05.2023



დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება;
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა;
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა;
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება;
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება;
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება.

ექსპერტი

სახელი და გვარი

ეკატერინე ფირცხალავა



ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი / East European University LLC
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	400028849

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ¹	ფსიქოლოგია
2	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
3	კვალიფიკაციის დონე ²	მეექვსე
4	კვალიფიკაციის დასახელება	ფსიქოლოგიის ბაკალავრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით ³	-
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) ⁴	0313- ფსიქოლოგია
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	240
9	განხორციელების ადგილი ⁵	1. ირინა ენუქიძის ქ. №6; ქ. თბილისი, 0158, საქართველო. 2. შატილის ქ. №4; ქ. თბილისი, 0178, საქართველო;
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი- აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 20 იანვრის N045171 გადაწყვეტილებით. ახალი პროგრამა. აკრედიტაციის ვადა 4 წელი.
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2021 წლის 29 დეკემბერი
12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების	1 წელი. 2022 წლის 29 დეკემბერი.

¹ დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს

² ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

⁴ განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)

⁵ ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი



	შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2025 წლის 29 დეკემბერი

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			



შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი⁶

1. რეკომენდებულია გადაიხედოს და დაზუსტდეს პროგრამის მიზნების და პროგრამის შედეგების ურთიერთკავშირი;
2. რეკომენდებულია სავალდებულო საგნები ქმნიდეს საფუძველს არჩევითი საგნებისთვის, კერძოდ, ფსიქოლოგიის ფუნქციონირების უფრო ძირითადი კურსია ვიდრე კლინიკური ფსიქოლოგიის და ფსიქოკონსულტირების საფუძვლები, რომლებიც შესაძლებელია გადავიდეს არჩევით საგნებში;
3. რეკომენდებულია პროგრამის შედეგების მიღწევის მიზნით, გაძლიერდეს ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის, სოციალური ფსიქოლოგიის და პიროვნების ფსიქოლოგიის საკითხების სწავლება;
4. რეკომენდებულია, გადაიხედოს და განახლდეს რიგ სასწავლო კურსებში (მაგ. ექსპერიმენტული ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია. ფსიქოლოგიის ფსიქოლოგია, კოგნიტიური ფსიქოლოგია,) ძირითადი სასწავლო მასალა სასწავლო კურსის სპეციფიკის, შინაარსის და სწავლის შედეგების გათვალისწინებით;
5. კვლევითი უნარების გამომუშავების მიზნით, გადაიხედოს შესაბამისი კურსები კვლევის მეთოდის სწავლებისათვის დათმობილი დროის, სასწავლო მასალისა და შეფასების სისტემის გაუმჯობესების თვალსაზრისით;
6. რეკომენდებულია გაიწეროს ცალკეულ სასწავლო კურსებში სწავლა-სწავლების მეთოდები დისციპლინის სპეციფიკიდან გამომდინარე;
7. რეკომენდებულია პროგრამაში საკვანძო და სავალდებულო კურსების სწავლება განხორციელდეს დარგის შესაბამისი კვალიფიკაციის და/ან აკადემიური ხარისხის მქონე პერსონალის მიერ;
8. რეკომენდებულია წარმოდგენილი იყოს პროგრამის ბიუჯეტი, დეტალური ხარჯების აღწერით;
9. რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები პროგრამის დახვეწის და განვითარების მიზნით.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია⁷

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 20 იანვრის N45171 გადაწყვეტილებით ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას, როგორც ახალ საგანმანათლებლო პროგრამას, 4 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია, 1 წლის თავზე

⁶ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

⁷ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.



რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარდგენის პირობით. დაწესებულებამ წარმოადგინა ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ, რომელიც, დოკუმენტების მიხედვით, წარმოდგენილია საბჭოს გადაწყვეტილებით დადგენილ ვადაში

დაწესებულების მიერ აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციებისა და რჩევის შესასრულებლად, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შევიდა ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელები და აკადემიური/მოწვეული პერსონალი, იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები.

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ⁸

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა.
კომპონენტის დასახელება	1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდაცია I	რეკომენდებულია გადაიხედოს და დაზუსტდეს პროგრამის მიზნების და პროგრამის შედეგების ურთიერთკავშირი;
აღწერა	რეკომენდაცია გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ. დაწესებულებამ წარმოადგინა ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები, რომელიც შეესაბამება პროგრამის მიზნებს, და ასახულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკაზე.
მტკიცებულებ(ებ)ი ^a	ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (იხ. დანართი N1)

⁸ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით



სტანდარტის დასახელება	1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა.
კომპონენტის დასახელება	1.5 სასწავლო კურსი/საგანი
რეკომენდაცია II	რეკომენდებულია სავალდებულო საგნები ქმნიდეს საფუძველს არჩევითი საგნებისთვის, კერძოდ, ფსიქოდიაგნოსტიკა უფრო ძირითადი კურსია ვიდრე კლინიკური ფსიქოლოგიის და ფსიქოკონსულტირების საფუძვლები, რომლებიც შესაძლებელია გადავიდეს არჩევით საგნებში;
აღწერა	რეკომენდაცია გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ. დოკუმენტებში რეკომენდაციის შესრულების დასაბუთებად წარმოდგენილია სილაბუსები. სასწავლო კურსი „ფსიქოდიაგნოსტიკა“ საგანმანათლებლო პროგრამაში სავალდებულო სასწავლო კურსის სახით არის გათვალისწინებული. კლინიკური ფსიქოლოგიის და ფსიქოკონსულტირების საფუძვლები კი როგორც უნივერსიტეტი აღნიშნავს, რეკომენდაცია გაითვალისწინეს კონტექსტუალურად, რადგანაც როგორც უნივერსიტეტი აღნიშნავს: „წარმოდგენილი კურსები სხვა არჩევითი კურსების წინაპირობას ქმნის“ და რადგანაც რეკომენდაციაში ნათქვამია „შესაძლებელია გადავიდეს არჩევით საგნებში“ <i>რეკომენდაცია შეიძლება ჩაითვალოს შესრულებულად.</i>
მტკიცებულებ(ებ)ა	ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (იხ.დანართი N1)

სტანდარტის დასახელება	1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა.
კომპონენტის დასახელება	1.5 სასწავლო კურსი/საგანი
რეკომენდაცია III	რეკომენდირებულია პროგრამის შედეგების მიღწევის მიზნით, გაძლიერდეს ექპერიმენტული ფსიქოლოგიის, სოციალური ფსიქოლოგიის და პიროვნების ფსიქოლოგიის საკითხების სწავლება;
აღწერა	რეკომენდაცია გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ. დოკუმენტებში რეკომენდაციის შესრულების დასაბუთებად წარმოდგენილია სილაბუსები. სოციალური ფსიქოლოგიის და პიროვნების თეორიების (პიროვნების ფსიქოლოგიის) კურსი წარმოდგენილია



	<p>განახლებულად , როგორც გზარდილი საკითხების/თემატიკის ასვე საკონტაქტო საათების რაოდენობით.</p> <p>ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის კურსი წარმოდგენილია გზარდილი საკონტაქტო საათებით, თუმცა ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიაში, მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ექსპერიმენტს, <i>სილაბუსში პირველი 6 თემა ეხება იმ მეთოდებს, რომელსაც ისინი კვლევის მეთოდებსა და მონაცემთა ანალიზში სწავლობენ.</i></p> <p><i>არსებული კურსის კოჰენი, ლ. მანიონი,ლ. და მორისონი, ქ. (2007). კვლევის მეთოდები განათლებაში. (თარგმანი) სახელმძღვანელო ქართულ ენაზე - 635 - 660 გვერდებზე არსებული მასალებით შევსება ექსპერიმენტული მეთოდის შესახებ კარგი იქნებოდა მეთოდის სრულყოფილი ცოდნისთვის</i></p>
მტკიცებულებ(ებ)ა	ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და განახლებული სასწავლო კურსების სილაბუსები (იხ.დანართი N1)

სტანდარტის დასახელება	1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა.
კომპონენტის დასახელება	1.5 სასწავლო კურსი/საგანი
რეკომენდაცია IV	რეკომენდირებულია, გადაიხედოს და განახლდეს რიც სასწავლო კურსებში (მაგ. ექსპერიმენტული ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია. ფსიქოდიაგნოსტიკა, კოგნიტური ფსიქოლოგია,) ძირითადი სასწავლო მასალა სასწავლო კურსის სპეციფიკის, შინაარსის და სწავლის შედეგების გათვალისწინებით;
აღწერა	<p>რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გათვალისწინებული დაწესებულების მიერ.</p> <p>დოკუმენტებში რეკომენდაციის შესრულების დასაბუთებად წარმოდგენილია სილაბუსები. რაც შეეხება სასწავლო მასალას / სახელმძღვანელოს :</p> <p>ფსიქოდიაგნოსტიკის ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა შევსებულია ახალი სახელმძღვანელოებით.</p> <p>ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიას ასევე აქვს დამატებით ლიტერატურაში სახელმძღვანელოს ჩამონათვალი.</p>



	<p>გაცემული რეკომენდაციის მიხედვით კოგნიტურ ფსიქოლოგიაში გამოყენებულია მზია წერეთლის წიგნი, ასევე დამატებით მასალაში ჩაწერილია სოლსოს კოგნიტური ფსიქოლოგია, რაც მისასალმებელია.</p> <p>რადგანაც კოგნიტური ფსიქოლოგია ფსიქოლოგიური ცოდნის საფუძველია, მისი სწავლა უნდა ხდებოდეს კლასიკური სახელმძღვანელოებით/ ან მათ საფუძველზე აგებული რიდერებით.</p> <p>რეკომენდაციაში მითითებული სახელმძღვანელოს- დალი ფარჯანაძე, მესხიერების ფსიქოლოგია, თბილისი 2008 წიგნის გამოყენება, როგორც კოგნიტურ ფსიქოლოგიაში შექმნილი ქართულენოვანი წიგნის არის მნიშველოვანი.</p>
მტკიცებულებ(ებ)ა	შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსები (იხ.დანართი N1)

სტანდარტის დასახელება	1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა.
კომპონენტის დასახელება	1.5 სასწავლო კურსი/საგანი
რეკომენდაცია V	კვლევითი უნარების გამომუშავების მიზნით, გადაიხედოს შესაბამისი კურსები კვლევის მეთოდის სწავლებისათვის დათმობილი დროის, სასწავლო მასალისა და შეფასების სისტემის გაუმჯობესების თვალსაზრისით;
აღწერა	<p>რეკომენდაცია გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ.</p> <p>დოკუმენტებში რეკომენდაციის შესრულების დასაბუთებად წარმოდგენილია სილაბუსები.</p> <p>„ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდების“, სილაბუსი.</p> <p>რეკომენდაციის შესაბამისად, აღნიშნულ სასწავლო კურსში გაზრდილია როგორც საკონტაქტო საათების რაოდენობა, ასევე განახლებულია სასწავლო მასალა საკმაოდ წარმომადგელობით ლიტერატურით როგორც ძირითად ისე ლიტერატურის დამატებით ნაწილში.</p>
მტკიცებულებ(ებ)ა	„ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდები“-ს სილაბუსი (იხ.დანართი N1)

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
-----------------------	--



კომპონენტის დასახელება	2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები
რეკომენდაცია VI	რეკომენდებულია გაიწეროს ცალკეულ სასწავლო კურსებში სწავლა-სწავლების მეთოდები დისციპლინის სპეციფიკიდან გამომდინარე;
აღწერა	<p>ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციების გარდა საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციის საპასუხოდ დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისი პასუხი, რომ ამ „რეკომენდაციის შინაარსით არ არის დაზუსტებული,თუ რომელ სასწავლო კურსებში უნდა „გაიწეროს“ სწავლა - სწავლების მეთოდები დისციპლინის სპეციფიკიდან გამომდინარე. აღნიშნულიდან გამომდინარე, უნივერსიტეტი მოკლებული იყო შესაძლებლობას, განეხილავდა პირდაპირი სახის ინტრევენციები, თუმცა რეკომენდაციის არსი გაიაზრა და გაითვალისწინა მისი კონტექსტი“</p> <p>უნდა აღინიშნოს რომ გადმოგზავნილ განახლებულ სილაბუსებში ნათლად არის გასაზღვრული სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევი გზები და შესაბამისი მეთოდები</p>
მტკიცებულებ(ებ)ა	ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და განახლებული სასწავლო კურსების სილაბუსები (იხ.დანართი N1)

სტანდარტის დასახელება	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.1 ადამიანური რესურსი
რეკომენდაცია VII	რეკომენდებულია პროგრამაში საკვანძო და სავალდებულო კურსების სწავლება განხორციელდეს დარგის შესაბამისი კვალიფიკაციის და/ან აკადემიური ხარისხის მქონე პერსონალის მიერ;
აღწერა	<p>რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გათვალისწინებული დაწესებულების მიერ.</p> <p>რეკომენდაციის შესრულების დასაბუთებად წარმოდგენილია ცალკეული დოკუმენტები.</p> <p>როგორც უმაღლესი დედაწესებულება აღნიშნავს, მათ მიერ ამ მოკლე ხანში გახორციელებული ღონიძირებების შედეგად,</p>



ფსიქოლოგიის პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს დაემატა 3 აკადემიური პერსონალი .

პროგრამას თანახელმძღვანელად დაემატა ფსიქოლოგიის დოქტორი,

მაგრამ პრობლემად რჩება ადგილობრივი უნივერსიტეტიდან აფილირებული დარგის შესაბამისი კვალიფიკაციის და/ან აკადემიური ხარისხის მქონე პერსონალის მიერ საკვანძო და სავალდებულო საგნების სწავლება,

მიუხედავდა იმისა, რომ დოკუმენტებში ნათლად არის ნაჩვენები ფსიქოლოგიის პროგრამის აკადემიური პერსონალში სრული, ასოცირებული, ასისტენტ და მოწვეული პროფესორების რაოდენობა, გამოწვევად რჩება საკვანძო საგნების სწავლება აფილირებული პერსონალის მიერ.

მტკიცებულებად წარმოდგენილია შემდეგი ცხრილები:

ფსიქოლოგიის საბაკლავრო პროგრამაში წარმოდგენილნი არიან:

იხილეთ ცხრ.1 ცისფერ ფერად მონიშნულია პროგრამის ძირითადი და მოწვეული პერსონალი ფსიქოლოგის კვალიფიკაციით

სრული პროფესორები

1	მათემატიკოსი	დოქტორი
2	ფილოლოგი	დოქტორი
3	ფსიქოთერაპევტი	დოქტორი
4	PR	სოც მეცნ. დოქტ
5	პედაგოგიკა/განათლება	დოქტორი

ასოცირებული პროფესორები

1	ბიზნეს ადმინისტრირება	დოქტორანტი
2	სოციალურ მეცნიერებათა ფსიქ	დოქტორი
3	ფსიქოლოგი	დიპლომი
4	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	დოქტორი
5	ფილოსოფოსი	დოქტორი
6	ფიზიკოს-კიბერნეტიკოსი	დიპლომი
7	ფსიქოლოგი	დოქტორი
8	საზოგადოებრივი ჯანდაცვა	დოქტორი
9	განათლების მეცნიერებათა	დოქტორი
10	ფილოლოგი	დოქტორი

ასისტენტ პროფესორები

1	სოციოლოგი	დოქტორანტი
---	-----------	------------



2	ფსიქოლოგი	დოქტორი
3	იურისტი	დოქტორანტი
4	ფსიქოლოგი	დოქტორანტი
5	ფსიქოლოგი	დიპლომი
6	კლინ. ფსიქოლოგი	მაგისტრი
7	ფსიქოთერაპევტი	დოქტორანტი წერიაც CV-ში - მაგრამ დოკუმენტ. ცნობა არ აქვს
8	ფსიქოთერაპევტი	დიპლომი
9	ფსიქოლოგი	დიპლომი.დოქტორანტი წერიაც CV-ში მაგრამ ცნობა არ აქვს
10	ფსიქოლოგი	დიპლომი

მოწვეული პროფესორები

1	ფსიქოლოგი	დოქტორანტი
2	ფსიქოლოგი	დოქტორი
3	ფსიქოთერაპევტი	დიპლომი
4	ფსიქოლოგი	მაგისტრი
5	ბიოლოგი	დოქტორი
6	ფსიქოლოგი	დოქტორი
7	ფსიქოლოგი	დოქტორი
8	ფსიქოლოგი	დოქტორი
9	ფსიქოლოგი	დოქტორი
10	ფსიქოლოგი	დოქტორი
11	ფსიქოლოგი	მაგისტრი
12	ფსიქოთერაპევტი	დიპლომი
13	ფსიქოლოგი	მაგისტრი
14	კონფლიქტოლოგი	მაგისტრი

იხილეთ ცხრილი 2.

ცხრილში წარმოდგენილია ძირითადი კურსები და მისი წამყვანი პროფესორების აკადემიური თანამდებობა და სამეცნიერო ხარისხი.

ყვითელ ფერად გაფერადებულია აკადემიური ხარისხის მქონე, მაგრამ არა ფსიქოლოგი პროფესორები, ხოლო მწვანე ფერად წარმოდგენილია შესაბამისი პროფესიის, მაგრამ მოწვეული პროფესორები

ფსიქოლოგიის საფუძვლები 1	განათლების დოქტორი ასოც. პრ.	ფსიქოლოგიის დოქტორი ასასიტ. პრ
--------------------------	------------------------------	--------------------------------



	ფსიქოლოგიის საფუძვლები 2	განათლების დოქტორი ასოც. პრ.	ფსიქოლოგიის დოქტორი ასასიტ. პრ
	ფსიქოლოგიის ბიოლოგიური საფუძვლები	ბიოლოგი	დოქტორი
	პროფესიული ეთიკა	ფსიქოლოგი დოქტორანტი ასისტ პრ	
	სოციალური ფსიქოლოგია 1	ფსიქოლოგი დიპლომი ასოც პრ	ფსიქოლოგიის დოქტორი ასასიტ. პრ
	სოციალური ფსიქოლოგია 2	ფსიქოლოგი დიპლომი ასოც პრ	ფსიქოლოგიის დოქტორი ასასიტ. პრ
	განვითარების ფსიქოლოგია1	ფსიქოლოგი დოქტორი ასოც პრ	ფსიქოლოგი დოქტორანტი-მოწვეული
	განვითარების ფსიქოლოგია2	ფსიქოლოგი დიპლომი ასოც პრ	ფსიქოლოგიის დოქტორი ასასიტ. პრ
	პიროვნების თეორიები1	ფსიქოლოგიის დოქტორი	ფსიქოლოგიის დოქტორი მოწვეული
	პიროვნების თეორიები 2	ფსიქოლოგიის დოქტორი	ფსიქოლოგიის დოქტორი მოწვეული
	კოგნიტური ფსიქოლოგია 1	ფსიქოტრაპევტი დიპლომი - ასისტ პრ	
	კოგნიტური ფსიქოლოგია2	ფსიქოტრაპევტი დიპლომი - ასისტ პრ	
	ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდები	ფსიქოლოგიის დოქტორი მოწვეული	
	სტატისტიკა სოციალურ მეცნიერებებში	მათემატიკოსი	
	ორგანიზაციული ფსიქოლოგია	ფსიქოლოგიის დოქტორი მოწვეული	



	კლინიკური ფსიქოლოგიის საფუძვლები	ფსიქოლოგის დოქტორი, სრული პრ	
	განათლების ფსიქოლოგია	განათლების დოქტორი ასოც. პრ.	
	ექსპერიმენტული ფსიქოლოგია	ფსიქოლოგი დიპლომი-ასისტ პრ	
	ფსიქოდიაგნოსტიკა	ფსიქოლოგი დოქტორი ასოც პროფ	
	ნეიროფსიქოლოგიის საფუძვლები	ფსიქოლოგი .მასგიტრი მოწვეული	
	მონაცემთა დამუშავება	ფსიქოლოგიის დოქტორი მოწვეული	
	ფსიქოკონსულტირების საფუძვლები	ფსიქოლოგიის მაგისტრი. მოწვეული	
	ცოდნისა და უნარების განმამტკიცებელი სასწავლო კურსები (20 კრედიტი)		
	სასწავლო პრაქტიკა (კვლევის ბაზისური უნარების განმავითარებელი კლინიკა)		
	სასწავლო პრაქტიკა (ფსიქოლოგიის კლინიკა)		
	საბაკალავრო ნაშრომი		
	<p>ფსიქოლოგის საფუძვლებს და განათლების ფსიქოლოგიას კითხულობს განათლების მეცნიერებების დოქტორი. განათლება და განათლების ფსიქოლოგია არ არის ერთი და იგივე.</p> <p>შემდეგ ძირითად კურსებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • განვითარების ფსიქოლოგია1 • განვითარების ფსიქოლოგია2 		



	<ul style="list-style-type: none"> • ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდებს • ნეიროფსიქოლოგიის საფუძვლები • ფსიქოკონსულტირების საფუძვლები <p>კითხულობენ მოწვეული პროფესორები.</p> <p>წარმოდგენილი მტკიცებულებების შესაბამისად შესაბამისად რეკომენდირებულია პროგრამის მდგარდობისთვის დარგის შესაბამისი კვალიფიკაციის და/ან აკადემიური ხარისხის მქონე პერსონალის აფილირება პროგრამასთან.</p>
მტკიცებულებ(ებ)ა	<p>ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და განახლებული სასწავლო კურსების სილაბუსები (იხ.დანართი N1)</p> <p>პროგრამაში ჩართული პერსონალის პირადი საქმე (იხ.დანართი N2)</p>

სტანდარტის დასახელება	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
რეკომენდაცია VIII	რეკომენდირებულია წარმოდგენილი იყოს პროგრამის ბიუჯეტი, დეტალური ხარჯების აღწერით;
აღწერა	<p>რეკომენდაცია გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ.</p> <p>ბიუჯეტში წარმოდგენილი პროგრამის დაფინანსების წყაროები დივერსიფიცირებულია წარმოდგენილია როგორც პროგრამის სტუდენტების მიერ გადახდილ სწავლის საფასური, ასევე სხვა ფინანსური მხარდაჭერის წყაროები როგორც პერიოდული, ასევე - ერთჯერადი (მაგ: კვლევები, გადამზადების კურსები და სხვა).</p>
მტკიცებულებ(ებ)ა	იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2022 წლის ბიუჯეტი (იხ. დანართი N3)



სტანდარტის დასახელება	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
რეკომენდაცია IX	რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები პროგრამის დახვეწის და განვითარების მიზნით.
აღწერა	რეკომენდაცია გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ. რადგანაც პროგრამა ახლია და ის მხოლოდ რამდენიმე თვეა რაც ფუნქციონირებს, რთულია შეფასდეს ამ რეკომენდაციის სრულად ამოქმედება, მაგრამ წარმოდგენილი დოკუმენტებით ჩანს, რომ ინსტიტუტიცა ცდილობს ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები პროგრამის დახვეწისა და განვითარების მიზნით.
მტკიცებულებ(ებ)ა	ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და განახლებული სასწავლო კურსების სილაბუსები (იხ.დანართი N1) უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (იხ.დანართი N4)

ექსპერტის ხელმოწერა